F567 ₰3156

იდიდე მარად ჩემო, სამშობლოვ!

საბჭოთა საქართველო

გამოცემის მე-9 წელი

№ 1 (119)

იანვარი,

1965 წელი

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა



შოთა რუსთაველი — გარელიეფი მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძისა.

შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისათვის

ქართული კულტურის დიდება



მომავალ 1966 წელს სრულდება 800 წელი, რაც დაიბადა დიდი ქართველი პოეტი და მოაზროვნე შოთა რუსთაველი — გენიალური ავტორი მარად უკვდავი „ვეფხისტყაოსნისა“, რომელიც მსოფლიო პოეტური ეპოსის ერთ-ერთი შედევრია.

მომავალ წელს, სექტემბერში გაიმართება შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილი დიდი საიუბილეო ზეიმი.

უკვე შეიქმნა ამ დიდი დღესასწაულის მოსამზადებელი საიუბილეო კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში არიან მწერლები, მეცნიერები, მხატვრები, კომპოზიტორები, მსახიობები, უბრალო მშრომელი ადამიანები, სულ 49 კაცი.

საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარეა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. დ. ჯავახიშვილი. თავმჯდომარის მოადგილეები — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი დ. გ. სტურუა და საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, პოეტი-აკადემიკოსი ი. გ. აბაშიძე.

საიუბილეო კომიტეტს დაევალა შეიმუშაოს და წარმოადგინოს საიუბილეო ზეიმის მოწყობის ღონისძიებათა გეგმა.

„ვეფხისტყაოსანი“ შუა საუკუნეების ყველაზე შესანიშნავი ქმნილებაა“.

ლუი არაგონი,
ფრანგი მწერალი.

„ვეფხისტყაოსანი“ ისეთი ქართული ნაწარმოებია, რომელიც აღმოსავლეთსაც და დასავლეთსაც ერთნაირად გასცქერის და მაინც ჭმინდა ეროვნული ქმნილებაა.

მორის მოურა,
ინგლისელი მეცნიერი.

თუმც მე ქართული ენა არ ვიცი და უკვდავ „ვეფხისტყაოსანს“ ფრანგულ ენაზე ვკითხულობდი და ვსწავლობდი, მაგრამ მაინც გავიგე და ვიხარჯენი ამ პოემაში არა მარტო ეპოქის მომხიბვლელი გმირობა, არამედ აგრეთვე მარადიულ ღირებულებათა — ხალხური სიბრძნის, ერთგულების, მეგობრობის, საუცხოო სიყვარულის შესანიშნავი გამარჯვება. ამიტომ არის რუსთაველის პოემა მახლობელი სხვადასხვა ეპოქის ხალხებისათვის, მახლობელი ჩვენთვის.

ჰალდორ ლაქსნესი,
ისლანდიელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი.

„ვეფხისტყაოსანი“ სიყვარულის საუკეთესო პოემაა, როგორიც ოდესმე თუ შექმნილა ევროპაში.

კონსტანტინე გალამონტი,
რუსი პოეტი.

მსოფლიოს დიდ გზებზე

შოთა რუსთაველი ელაპარაკება კაცობრიობას

ქართველი ხალხის დიდი ეროვნული საუნჯე და ხელიხელსაგოგმანები მარგალიტი შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ დიდი ხანია გასცდა მშობლიურ ფარგლებს და მსოფლიო ხალხების ზოგადსაკაცობრიო საკუთრებად იქცა. რასაკვირველია, ამ კეთილ საქმეში უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულეს არა მარტო გამოჩენილ მეცნიერ-ფილოლოგთა შრომებმა და გამოკვლევებმა, არამედ ამ გენიალური პოემის თარგმანებმა მსოფლიოს სხვადასხვა ხალხთა ენებზე.

დღეს, მეოცე საუკუნის 60-იან წლებში, მსოფლიოს დიდ გზებზე მხარგაშლილი მიაბიჯებს მეგობრობისა და კაცთმოყვარეობის სწორუპოვარი მქადაგებელი შოთა რუსთაველი. „ვეფხისტყაოსნის“ საზღვარგარეთის ქვეყნების ხალხთა ენებზე თარგმნის ისტორია გასული საუკუნის პირველი ნახევრიდან იწყება.

შეიძლება ითქვას, ამ საქმის პიონერი იყო გამოჩენილი მეცნიერი-ფილოლოგი და ისტორიკოსი მარი ბროსე. მან ჯერ კიდევ XIX საუკუნის 30-იან-40-იან წლებში ფრანგულ ენაზე პროზად თარგმნა რუსთაველის პოემა და უწოდა მას „ტარიელის რომანი“. ბროსეს თარგმანი არ დაბეჭდილა. აქვე უნდა ითქვას, რომ პოემა ფრანგულად უთარგმნია იოანა მეუნარგიასაც. თუმცა მასაც ბროსეს თარგმანის ბედი ხვედრია.

შემდეგ წლებში პოემის ცალკეული ნაწყვეტები გამოქვეყნდა მსოფლიოს ხალხთა სხვადასხვა ენაზე. მაგრამ პირველი შედარებით სრული თარგმანი (პროზა ნარევი ლექსით) შოთას პოემისა დაიბეჭდა 1863 წელს პოლონურ ჟურნალ „ბიბლიოთეკა ვარშავსკაში“. იგი შეუსრულებია კაზიმირ ლაპჩინსკის.

ქართული კულტურის უანგარო მეგობართა პირველ რიგებში ყოველთვის ასახელებენ არტურ ლაისტს. მან გერმანელ ხალხს გააცნო ჩვენი ლიტერატურის ბევრი ნიმუში, და მათ შორის შოთას პოემა. ლაისტისეული პროზაული თარგმანი დაიბეჭდა დრეზდენში 1889 წელს.

1912 წელს ლონდონში გამოვიდა „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისური პროზაული თარგმანი, რომელიც ილია ჭავჭავაძის კონსულტაციითა და დახმარებით მარჯორი უორდროპმა შეასრულა. იგივე თარგმანი 1938 წელს მოსკოვშიც დაიბეჭდა.

„ვეფხისტყაოსნის“ პირველი ყველაზე სრული და პოეტური თარგმანი 1917 წელს გამოვიდა ბუდაპეშტში, უნგრულად. როგორც ჩანს მთარგმნელ ბელა ვიკარისათვის დიდი დახმარება გაუწევია დღეს ნაკლებად ცნობილ პოეტ-რევოლუციონერს გ. წიკლაურს.

1938 წელს პარიზში გამოიცა პოემის სრული პროზაული თარგმანი. ხოლო გასულ წელს კი, როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველებმა იციან, პარიზის გამომცემლობა „გალიმარმა“ იუნესკოს თაოსნობით გამოუშვა სერგი წულაძისეული სრული პოეტური თარგმანი.


რუსთაველის პოემა თარგმნილია იტალიურ ენაზე შ. ბერიძის მიერ და გამოცემულია მილანში 1945 წელს.

1947 წელს რუმინელები გაეცნენ „ვეფხისტყაოსნის“ ნაწყვეტს, ხოლო 9 წლის შემდეგ კი ცნობილმა რუმინელმა მწერალმა და მთარგმნელმა ვიქტორ კერნბახმა პოემის სრული პოეტური თარგმანი მიაწოდა მშობლიურ ხალხს.

1954 წელს „ვეფხისტყაოსანი“ დაიბეჭდა პეკინში ჩინურ ენაზე, ერთ წლის შემდეგ ტოკიოში იაპონურ ენაზე (მთარგმნელი იპეი ფუკურო), ხოლო მომდევნო წელს გერმანიაში. პოემა სრული სახით ლექსით გერმანულად თარგმნა ჰუგო ჰუპერტმა.

სულ ახლახან ჩილიდან დაბრუნებულმა ცნობილმა ქართველმა ფეხბურთელმა მ. მესხმა საქართველოს ლიტერატურულ მუზეუმს ჩამოუტანა „ვეფხისტყაოსნის“ ესპანურ ენაზე დაბეჭდილი ჯერ კიდევ აუკინძავი ფორმები. ეს არის რუსთაველის პოემის პირველი ესპანური თარგმანი, რომელიც მალე გამოვა სანტ-იაგოში.

დასასრულ, აქვე უნდა ითქვას, რომ „ვეფხისტყაოსანი“ დიდი ხანია თარგმნილია რუსულ, უკრაინულ, სომხურ, აზერბაიჯანულ, ბელორუსულ და საბჭოთა კავშირის მრავალ ხალხთა ენებზე.



მხატვარ ირაკლი თოიძის ილუსტრაციები „ვეფხისტყაოსნისათვის“.

ქ უ თ ა ი ს ი

ქალაქი, სადაც შენ ცხოვრობდი მეგობარო!



საქართველოს მეორე ინდუსტრიული ცენტრი, განუმეორებელი თავისი სილამაზით, თავისებურებებით—ქუთაისი, დამშვენებული ახალი ქუთაისი. ორმოცი და ოცი წელი კი არა ხუთი წელი, რომ არ ინახულო, მაშინაც გაგიკვირდება, კარგად ვერ იცნობ, ისე სწრაფად იცვლება ირგვლივ ყველაფერი. შენდება სახლები, აგებენ ახალ ქუჩებსა და პროსპექტებს, ჭარხნებს, სტადიონებს... ვერ იცნობთ ქალაქს და მაინც იცნობთ, იცნობთ იმიტომ, რომ ქალაქი ისევ ის „სავარდო და სამაისოა“, როგორც ყოველთვის.

ფეიქართა ქალაქი

ქუთაისი მსხვილი ინდუსტრიული ქალაქია. აქ მრავალი ფაბრიკა და ქარხანაა. ფართოდ არის ცნობილი საავტომობილო, ლითოფონის, სამთო მანქანათმშენებლობის ქარხნები, ბევრია მსუბუქი მრეწველობის ფაბრიკებიც.

ამ დღეებში დაიწყო აბრეშუმის კომბინატის გაფართოება-რეკონსტრუქცია. კომბინატის ტერიტორიაზე დაიწყო გამომყვანი ფაბრიკის მშენებლობა, რომლის მწყობრში ჩადგომის შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზრდება ფაბრიკის ნაწარმი.

გამომყვანი ფაბრიკა ყოველწლიურად 20 მილიონ მეტრ აბრეშუმის ქსოვილს გამოუშვებს. აქ ძოხდება დასავლეთ საქართველოს ყველა საფეიქრო საწარმოს მიერ გამოშვებული აბრეშუმის ქსოვილის შეღებვა და დაჩითვა, საბოლოო დამუშავება.

ფაბრიკა აღჭურვილი იქნება თანამედროვე მანქანა-დანადგარებით. ქუთაისის საფეიქრო კომბინატი ერთ-ერთ მსხვილ საწარმოდ გადაიქცევა რესპუბლიკაში.

მშენებლობის ქრონიკა

დღითიდღე იზრდება მშენებლობა ქუთაისში. სახლებს სახლები ეძატება. მშრომელები ხშირად ზეიმობენ ახალმოსახლეობას. წელს კიდევ უფრო გაიზრდება საცხოვრებელი ბინების ფართი, აიგება ახალი საცხოვრებელი სახლები.

გასული წლის მიწურულში სოხუმის ქუჩაზე დაიწყო სამი ახალი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. თვითეული მათგანი სამოცბინიანია. მშენებლობა მაისისათვის დამთავრდება.

ამ დღეებში ლენინის პროსპექტისა და ნინოშვილის ქუჩის გადაკვეთაზე მოვიდნენ მშენებლები, ამონტაჟებენ ამწე ონკანს, მუშაობენ ბულდოზერები, ექსკავატორები. საფუძველი ჩაეყარა ახალი სკოლის მშენებლობას. ახალ სასწავლო წლიდან აქ 400 მოსწავლე ისწავლის.

ცოდნის წყარო

საზოგადოება „ცოდნას“ რესპუბლიკის მასშტაბით შექმნილი აქვს 60-ზე მეტი კულტურის სახალხო უნივერსიტეტი. ქუთაისში ახლა 12 სახალხო უნივერსიტეტი არსებობს, რომელთა შორის მოწინავეა საქალაქო სახალხო უნივერსიტეტი. უნივერსიტეტმა 1960 წელს დაიწყო მუშაობა და დღემდე 200-ზე მეტი მსმენელი გამოუშვა.

ამჟამად უნივერსიტეტს ოთხი ფაკულტეტი აქვს: საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ფიზიკა-ქიმიის, სამედიცინო-ბიოლოგიური, ლიტერატურისა და ხელოვნების.

უნივერსიტეტის მსმენელთა უმრავლესობას ახალგაზრდა მუშები და საშუალო ტექნიკური პერსონალი წარმოადგენს. ლექციებს კითხულობენ ალ. წულუკიძის სახელობის საქალაქო პედაგოგიური ინსტიტუტის ლექტორები, აგრეთვე იწვევენ ცნობილ მეცნიერებს თბილისიდან. უნივერსიტეტში მუდმივად მუშაობენ პროფესორი კ. მეძველია, დოქტორი ვ. ვერულაშვილი დოცენტები ი. კუბლაშვილი, ი. ჯღარკავა ჰ. გულუა, ი. ერემეიშვილი.


სასწავლო მუშაობა მიმდინარეობს თვალსაჩინოების ფართო გამოყენებით. ლექციებთან ერთად ეწყობა სემინარული მეცადინეობა. მსმენელები უზრუნველყოფილი არიან სასწავლო-თემატური ლიტერატურით, სისტემატურად ტარდება ექსკურსიები, შეხვედრები წარმოების მოწინავე ადამიანებთან, კითხვა-პასუხის საღამოები, თეორიული კონფერენციები.

ნოქრიდი მაყურებლისათვის

სამი წელია, რაც ქუთაისის მასწავლებლის სახლთან მოზარდ მაყურებელთა თვითმოქმედი თეატრალური კოლექტივი არსებობს. ამ ხნის მანძილზე სახალხო თეატრმა ბევრი საინტერესო სპექტაკლი დადგა.

ახლახან თეატრმა მოზარდ მაყურებლებს უჩვენა ახალი სპექტაკლი „სურამის ციხე“ ცნობილი ქართველი მწერლის დ. ჭონქაძის მოთხრობის მიხედვით. სპექტაკლი დადგა რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ა. ჩიქვინიძემ, მხატვარია გ. ბერეჩიკიძე.

როლები შეასრულეს პედაგოგებმა, სტუდენტებმა, მუშა და მოსწავლე-ახალგაზრდობამ



ქართული ჩუქურთმის მესაიდუმლე

ოთხმოცდაორი წლის არის ლუკა ბაზაძე, ქართული ჩუქურთმის ოსტატი და მესაიდუმლე.

ბავშვობიდან შეიყვარა ქვაზე მუშაობა, მალე დახელოვნდა და დაოსტატდა, ყველგან იწვევდნენ და ისიც სიყვარულით თლიდა ქვას, აძლევდა სიცოცხლეს.

ქუთაისში მას ყველა იცნობს. „ჩვენი ლუკა“ — ასე ეძახიან მოხუცს. ახლა აღარ მუშაობს, მაგრამ ხშირად ნახავთ ნახაზებით ხელში ქუჩაში, ახალგაზრდებს ასწავლის მამა-პაპათა ხელობას.

ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრის კაპიტელები და ჩუქურთმები ლუკას მარჯვენამ შექმნა. გაოცებთ მის მიერ ფაქიზი სტილით დამუშავებული ქართული ორნამენტები, რამდენი პლასტიკა და სისადავეა მათში.

ლუკა ბაზაძის საჭრეთელმა, მისმა დაუშრეტელმა ფანტაზიამ შექმნა ჭიათურის თეატრის ყველა ჩუქურთმა, ღრმა ქართული კლასიკური სტილით. „ჩვენი ლუკას“ დამუშავებულია საოცრად ლამაზი ჩუქურთმები, კიბეები და კაპიტელები წყალტუბოს სანატორიუმებში „მეტალურგსა“ და „მეშახტეში“. ქუთაისის ადმინისტრაციული სახლის წინა ხედი, სასტუმრო „ქუთაისი“ და ვინ მოთვლის კიდევ რამდენი რამ.

„ტორპედო“ ემზადება

15 აპრილს დაიწყება საკავშირო ჩემპიონატი ფეხბურთში. სხვებთან ერთად შეუდგა სეზონისათვის მზადებას ქუთაისელთა საყვარელი გუნდი „ტორპედო“. გუნდის უფროსმა მწვრთნელმა ა. ჟორდანიამ ჩვენ კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა:

— ჩვენი მიზანია წელს „ა“ კლასში დარჩენაზე კი არ ვიზრუნოთ, არამედ თვიდანვე ავიღოთ გეზი ათეულში მოხვედრისათვის.

გუნდში მოვიდნენ ახალგაზრდა ნიჭიერი ფეხბურთელები საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან, ისინი სათადარიგო შემადგენლობაში ითამაშებენ, აიმაღლებენ კლასს.

ვფიქრობ ახალ სეზონში „ტორპედოს“ უკეთესი მაჩვენებლები ექნება, ამის ყველა პირობა გვაქვს.

სურათებზე: ქუთაისი დღეს — ზემოთ: ახალი საცხოვრებელი სახლები გორის ქუჩაზე; ქვემოთ: ქალაქის ცენტრალური მოედნის ერთ-ერთი კუთხე.

არ გავცვლი სალსა კლდეებსა...

„თითქმის ერთი თვე ვიყავი საქართველოში. დავთვალიერე მისი ყოველი კუთხე, აღტაცებული ვარ საქართველოსა და ქართველი ხალხის სილამაზით, მისი შესანიშნავი ადამიანებით. ეს ყველაფერი უწინაც ვიცოდი გალმოცემით, მაგრამ ახლა დავრწმუნდი და მინდა ვთქვა: თუ ყველაფერ ამას საკუთარი თვალით არა ნახავ, შეუძლებელია, რომ აღწერო“.

ეს სიტყვები პარიზში მცხოვრებ ახალგაზრდა თანამემამულეს თამაზ ნასყიდაშვილს ეკუთვნის. იგი საქართველოში იყო ჩვენი საზოგადოების მოწვევით. თბილისში მოხუც ბებიასთან ცხოვრობდა როდენის ქუჩაზე, ქალაქის ცენტრში. და მოდიოდნენ აქ ნაცნობები და უცნობები: ზოგს აქამდე უნახავი ნათესავის გაცნობა აინტერესებდა, სხვები სამშობლოსაგან სხვადასხვა მიზეზით გადახვეწილ ახლობელთა ამბის გასაგებად მოეშურებოდა.

დროდადრო თამაზი მაინც ახერხებდა თბილისელთაგან „თავის დაღწევას“ და საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოგზაურობდა. ზოგჯერ, ასეთი მოგზაურობისას მე თამაზთან ერთად ვიყავი. ყოველ სოფელში, ყოველ ქალაქში ბევრი რამ გვხვდებოდა საინტერესო და ყურადსაღები. მე მხოლოდ ერთი მოგზაურობის ამბავს მოგითხრობთ.

რუსთავი.

მეტალურგიული ქარხნის დირექტორის ვრცელ კაბინეტში ვუზივართ მაგიდას. დირექტორი ოთარ სულაძე შავგვრემანი, სასიამოვნო შეხედულების ახალგაზრდაა. როგორც თავის საქმეზე შეყვარებულ ადამიანებს სჩვევიათ, შთაგონებითა და გატაცებით ლაპარაკობს, გვაცნობს ქალაქის და ქარხნის საინტერესო ისტორიას.

— საუკუნეების წინათ, ფეოდალური საქართველოს აყვავების ხანაში რუსთავის მიწაზე სიცოცხლე ჩქეფდა. აქ გადიოდა საქარავნო გზები ევროპას რომ აზიასთან აკავშირებდა. არქეოლოგიური ბარები დაადასტურეს დიდებული ციხე-დარბაზებისა და სასახლეების არსებობა. მოპოვებული ნივთები — საომარი იარაღი და საოჯახო ჭურჭელი აქ მცხოვრებ ქართველთა მაღალ კულტურაზე მეტყველებს.

ბედის უკუღმართობამ — უცხოელ დამპყრობთა გაუთავებელმა შემოსევებმა ნანგრევებად აქცია აყვავებული ქალაქი. მერე ნანგრევებიც წარსულის მტვერმა და ნარ-ეკალმა დაფარა. და იწვა საუკუნეების განმავლობაში მკერდგარეჯული რუსთავის მიწა. იწვა და ელოდა. აკი ელირსა კიდეც — ჩვენს დროში ელირსა მკვდრეთით აღდგენას, უფრო აღზევებას.

ჯერ სამამულო ომი არც კი იყო დამთავრებული, რომ რუსთავის ველზე კარვები გაჩნდა — ეს გეოლოგები და ინჟინრები მოვიდნენ სამუშაოდ. მალე ნახაზები და პროექტები რეალობად იქცა: სოკოებივით სწრაფად იზრდებოდნენ საცხოვრებელი სახლები, სულ უფრო განზე და მაღლა მიიწევდა მეტალურგიის ახალი გიგანტი. და დადგა დღე, როცა ახალგაზრდა ქართველთა მეფოლადეებმა ახალი ქართული ფოლადის მიღება უპატაკეს სამშობლოს.

დღეს რუსთავის მეტალურგიული ქარხანა მთლიანი ციკლით მუშაობს. ქართველ ინჟინერთა და სპეციალისტთა წყალობით პირველად აქ ამუშავდა „დგანი—400“, რომელიც ათი ათასამდე ოპერაციას ასრულებს ავტომატურად. ეს დგანი უნიკალურია ევროპაში.

დღეს საქართველო თვითეულ მოსახლეზე აწარმოებს უფრო მეტ ფოლადს, ვიდრე იტალია, ესპანეთი, ნორვეგია, შვეცია, შვეიცარია, იაპონია.

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ბაზაზე წარმოიშვა კაპროლაქტამის და მინერალური სასუქების ქარხნები, რომლებიც თავიანთი პროდუქციით მთელ ამიერკავკასიას ამარაგებენ.

— ერთი შეკითხვა თუ შეიძლება? — მორიდებით ამბობს თამაზი.

— ბრძანეთ.

— რამდენი ქართველი მუშაობს თქვენს ქარხანაში?

— მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის თითქმის ოთხმოცი პროცენტი ქართველებია. დანარჩენი კი — სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები.

თამაზს ელიმება.

— რატომ გეღიმებათ? — ეკითხება ახლა ოთარი.

— იმიტომ, რომ ჩვენთან, საფრანგეთში მცხოვრებ ქართველებს რუსთავი არაჩართულ ქალაქად მიაჩნიათ. პრესაშიც კი წერდნენ ამის შესახებ.

— საკვირველია, ვის რაში სჭირდებოდა ასეთი სისულელის მოჭორვა? — ამბობს გაოცებული ოთარი, აე, გაივლით ქარხანაში და საკუთარი თვალით ნახავთ. სხვა შეკითხვა ხომ არ გექნებათ?

— არა. ყველაფერი გასაგებია, დიდად გმადლობთ!

ოთარმა უჯრიდან ყდამოხატული წიგნი აჰოიღო და თამაზს გაუწოდა.

— ჩემს სახსოვრად გქონდეთ. აქ დაწვრილებით არის მოთხრობილი რუსთავის მთელი ისტორია. რაც მე გამომრჩა, აქ ამოიკითხავთ.

ქარხნის ტერიტორიაზე მანქანით შევდივართ. იგი რამდენიმე ათეულ ჰექტარს მოიცავს. ყოველი უბანი, ყოველი საამქრო მწვანე ნარგავებშია ჩაფლული.

— ეს ნამდვილად დიდი ქარხანა-ბაღი ყოფილა, — ამბობს თამაზი, — ასეთი მწვანით შემოსილი სხვა ქარხანა მე არ მინახავს.

პირველად ფოლადის სადნობი საამქრო ვინახულეთ. ადამიანები იდგნენ და გულდაგულ ადევნებდნენ თვალყურს დნობის პროცესს. საამქროს მთელ სიგრძეზე რამდენიმე ღუმელი იდგა ჯარისკაცივით ჩამწკრივებული...

მარტენის უკანა მხარე უეცრად გაანათდა: თითქოს რანდენიმე ათეული ნათურა ერთბაშად აენთო. ეს რომელიღაც ღუმელმა ახალი ნადნობი გამოუშვა. ყველანი იქით გავეშურეთ. მარტენიდან ვულკანური ლავასავით გადმოხეთქილი გავარვარებული რკინის თხევადი მასა უზარმაზარ ქვაბში ხმაურით ეშვებოდა და ირგვლივ ათასობით ოქროსფერ ნაპერწკალს ისროდა. მერე მძლავრმა ამწემ ქვაბი აიტაცა და დიდი სიფრთხილით წაიღო.

თამაზმა რაღაცა მითხრა. ვერ გავიგონე-მეთქი, ხელით ვანიშნე.

მაშინ მან თითქმის მთელი ხმით დაიყვირა:

— ქართული ფოლადი! ჩვენებური ფოლადი! კარგია!..

— ჰო, კარგია, ძალიან კარგი!..

შემდეგ საამქროსთან ოცდათხუთმეტიოდე წლის ეშხიანი ვაჟკაცი შემოგ-

(გაგრძელება მე-5 გვ.)

მუსიკოსის სიყვარული



კლავიშებზე პეპლებივით დაფრინავენ მძლავრი თითები. ლაბაზი აკორდებით ივსება დარბაზი, ჰანგთა სამეფოში თანდათან შეჰყავს თავდავიწყებული მსმენელი თინათინ გოგოლაშვილს. მისი გული აღსავსეა ემოციებით, — ვერ იტევს მოზღვავებულ გრძნობას და პიანისტი ქალი ცდილობს ყველას არგუნოს თავისი წილი, გაუნაწილოს შემოქმედებითი სიხარული იმათაც, ვინც დარბაზშია, ვინც ტელე-ეკრანებთან ზის და ვისაც ყური რადიორეპროდუქტორისათვის მიუპყრია.

რვა წლისაც არ იყო, მამამ ფორტეპიანო რომ უყიდა. გოგონამ სახლში ნასწავლი სიმღერები მაშინვე გადაიტანა კლავიშზე. ყველა გაოცდა. რვა წლისამ მუშფაკში გამართულ საბავშვო დილაზე მკაფიოდ გამოავლინა განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭი, რითაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ზ. ფალიაშვილსა და დ. არაყიშვილზე. ხელოვნების განყოფილებამ შუამდგომლობა აღძრა თინათინ გოგოლაშვილის კონსერვატორიაში გადაყვანის შესახებ. ნიჭიერ გოგონას მისვლისთანავე სტიპენდია დაენიშნა და პროფესორ ა. ვირსალაძის კლასში ჩაირიცხა.

დღითიდღე იზრდებოდა და იფურჩქნებოდა თინათინის ხალასი ნიჭი, კონსერვატორიის საფორტეპიანო ფაკულტეტი წარჩინებული დიპლომით დაამთავრა. იმავე წელს მიიღეს იგი ასპირანტურაში. ამჟამად კი თ. გოგოლაშვილი ჩვენი რესპუბლიკის ერთერთი საუკეთესო პიანისტია. იგი როგორც სოლისტი პიანისტი წარმატებით გამოდის საქართველოს რადიოს და სახელმწიფო ფილარმონიის კონცერტებში. დიდი წარმატებით მართავს საკუთარ კონცერტებს. მისი პროგრამა მრავალფეროვანი და საინტერესოა. რუს და დასავლეთ ევროპის საუკეთესო კლასიკოსთა გვერდით თინათინი ასრულებს ქართული პროფესიული მუსიკის პირველ მერცხალთა ქმნილებებს.

თინათინი ქართული კოლორიტით გაჟღენთილ საფორტეპიანო კონცერტების ეროვნული გრძნობის შთამბეჭდავი პიანისტია. იგი ქართული სულით ამდიდრებს მშობლიური მუსიკის თვითეულ ფრაზას, ყოველ აკორდს და აცხოველებს მსმენელის ინტერესს. აი რატომ მიისწრაფიან მისკენ მუსიკის ჰანგთა მძერწველნი. ამიტომაა, რომ მან დამსახურებულად დაიმკვიდრა ქართველ კომპოზიტორთა საფორტეპიანო ნაწარმოებების მეკვლეს სახელი, პირველი შემსრულებლის საპატიო ტიტული.

პირველი შესრულების, წარმატებებისა და მადლობის ნიშნად თინათინისათვის მიუძღვნია ა. ბალანჩივაძეს „ნოქტიურნისა“ და „სამაიას“ ნოტები გულთბილი წარწერებით, ალ. მაჭავარიანს კი „ხორუმის“ კლავირი მიურთმევია პიანისტისათვის. დოცენტ თ. გოგოლაშვილის ბიბლიოთეკაში შეხვდებით კომპოზიტორების თამარ და ალექსანდრე შავერზაშვილების, მერი დავითაშვილის, დალი ჩხეიძის, შოთა მილორავას ნაწარმოებათა ნოტებს, ავტორთა გულისხმიერი ავტოგრაფებით პირველი შესრულების აღსანიშნავად. მას როიალს ამშვენებს აგრეთვე ერ. ჯაბადარის პორტრეტიანი „ქართული რაფსოდიის“ კლავირი, ნიშნად პირველი საჯარო შესრულებისა.

პროფესიულ პიანისტურ ხელოვნებაში თ. გოგოლაშვილი პირველი ქართველი ქალია, რომელმაც პირველად შეასრულა საბჭოთა საქართველოს მუსიკალური კულტურის კლასიკოსთა ნაწარმოებები ნიჭიერი პიანისტი ახლა ენერგიულად ეწევა ეროვნულ კომპოზიციების ნაწარმოებების პროპაგანდას და ხელს უწყობს მის პოპულარიზაციას. საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში შეხვდებით აფიშებს, რომლებიც იუწყებიან სიმფონიური ორკესტრის კონცერტებს თ. გოგოლაშვილის მონაწილეობით. მის შესრულებას ახასიათებს ვირტუოზული ტექნიკა, უსაზღვრო ტემპერამენტი, მაღალი გემოვნება, არტისტული მგზნებარება და განცდათა სიღრმე.

სწორედ ამ თვისებებმა მოიყვანა აღტაცებაში კონკურსის ჟიური 1949 წელს მოპვენის გარდაცვალებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილ რესპუბლიკურ კონკურსზე და ქართველ პიანისტს პირველი პრემია მიანიჭეს.

თინათინ გოგოლაშვილმა, ამ შესანიშნავმა მამულიშვილმა, რომელიც ერთი პარიზელი ქართველის სიტყვით, ვაჟკაცურად უკრავს, თავისი ინდივიდუალობა და ეროვნული სული უბადლოდ გამოაელინა ევროპაში ცნობილ კომპოზიტორ ერეკლე ჯაბადარის კონცერტზე, რომელიც გასული წლის დეკემბერში გაიმართა ხალხით გაჭედილ რუსთაველის საკონცერტო დარბაზში. „მე მოხარული ვარ ჩვენში აქამდე უცნობი მუსიკოსის ტალანტით. მიხარია, რომ უცხოეთში მოღვაწე ნიჭიერი კომპოზიტორის ზოგიერთ ქმნილების შესრულებაც პირველად მე მხვდა წილად. ჩემს საკონცერტო რეპერტუარში სიამოვნებით შემოაქვს ჯაბადარის „ქართული რაფსოდია“. ამ საუცხოო საფორტეპიანო კონცერტით ქართული მუსიკალური კულტურისათვის ახლად შეძენილ კომპოზიტორს მელიტონ ბალანჩივაძისა და დიმიტრი არაყიშვილის გვერდით ვეყენებ“, — სამართლიანად ამბობს თინათინ გოგოლაშვილი და ხალისით უკრავს ნაწყვეტებს „რაფსოდიიდან“.

თ. გოგოლაშვილი ხალისით ამზადებს ერ. ჯაბადარის სხვა ნაწარმოებებსაც, რათა ფართოდ და სრულყოფილად გააცნოს საქართველოს მშრომელებს ნეტარსახსენებელი თანამემამულის მუსიკალური შემოქმედება, თან ბეჯითად ემზადება ქართულ პიანისტურ ხელოვნებაში ახალი წარმატების მოსაპოვებლად.

ნუნუ მესხი.

• • •

სურათზე: უკრავს თინათინ გოგოლაშვილი.

საგასტროლოდ...

მშვენიერი ტრადიცია აქვთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სიმფონიურ ორკესტრს, ჰოცეკვავეთა ანსამბლს და საესტრადო ჯგუფს. არდადეგების პერიოდში სტუდენტები ხშირად მიდიან საგასტროლოდ მოძმე რესპუბლიკებში. მოსკოველი, ლენინგრადელი, კიეველი, ბაქოელი, ერევნელი მაყურებლები სიამოვნებით იგონებენ მათ გამოსვლებს.

ახლაც, როცა უნივერსიტეტის აუდიტორიებში სესიების „ცივ-ცხელება“ მიწყნარებულია, თვითმოქმედი კოლექტივები საასპარეზოდ მოემზადნენ. 100-ზე მეტი სტუდენტი გაემგზავრა ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში, ისინი განახლებული პროგრამით წარსდგებიან მაყურებელთა წინაშე.

ქართველ ფიზიკოსთა გამოკვლევები

მოსკოვში გაიმართა ნუკლეინის მჟავათა საკითხებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია. იგი განიხილავს ვირუსოლოგიაში, ონკოლოგიაში ცილის სინთეზთან, ნუკლეინის მჟავათა როლთან დაკავშირებულ ბიოლოგიის უმნიშვნელოვანეს პრობლემებს. მის მუშაობაში მონაწილეობდნენ ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ბულგარეთის და რუმინეთის მეცნიერები.

ნუკლეინის იმ მჟავათა სტრუქტურისა და თვისებების შეცნობა, რომლებიც სიცოცხლის საფუძველია, გაარკვევს მემკვიდრეობითობის „საიდუმლოებას“, საშუალებას მოგვცემს აღმოვაჩინოთ ცილის აგებულების მექანიზმი, გავერკვეთ ვირუსისა და უჯრედის ურთიერთობაში.

კონფერენციის მონაწილეებმა დიდი ინტერესით მოისმინეს ქართველ ფიზიკოსთა მოხსენებები. მათ წამოაყენეს ნუკლეინის მჟავათა შესწავლის ახალი მეთოდი — მიკრო-კალორიმეტრირება. მჟავის მოლეკულა, როგორც ქართველმა მეცნიერებმა დაადგინეს, მოთავსებულია წყლის გარსში და მისი ქიმიური თვისება განისაზღვრება მასთან დაკავშირებული წყლის რაოდენობით. მეცნიერებმა ნებისმიერად შეცვალეს მოლეკულის „ირგვლივ“ წყლის ტემპერატურა და დაინახეს, თუ როგორ იცვლება შესასწავლი მოლეკულის სტრუქტურაც წყლის გარსის სტრუქტურის შეცვლასთან ერთად.

ქართველ ფიზიკოსთა მუშაობა ახალი ნაბიჯია ნუკლეინის მჟავათა აგებულების საიდუმლოებათა ამოხსნის გზაზე.


ახალი საავადმყოფო

საბურთალოზე, სამედიცინო ინსტიტუტის ტერიტორიაზე აშენდება ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთი უდიდესი სამკურნალო დაწესებულება — საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფო 1.100 საწოლით.

იგი აღიჭურვება თანამედროვე სადიაგნოსტიკო აპარატურით. თორმეტსართულიანი შენობის ბოლო სართულზე მოთავსდება ჭირურგიული განყოფილება, დანარჩენ სართულებზე განლაგდება თერაპიული, ნერვული, ტრავმატოლოგიური, უროლოგიური, გინეკოლოგიური, ყელ-ყურის განყოფილებები.

საავადმყოფოს ძირითადი კორპუსის გარდა აშენდება სამხართულიანი პოლიკლინიკა და პათოლოგიურ-ანატომიური კორპუსი.

სურათზე: ასეთი იქნება ახალი საავადმყოფო-გიგანტი.



ნოდარ ნარსია

დაბრუნება

ვიყვირე: —
ჩემო კერავ და ნისლო! —
და შემაჩერა მოხუცმა კაცმა...
გადაკარგული ყმაწვილი მიცნო
და გამიღიმა მოხუცმა კაცმა.
მომხვია ხელი და მომაბრუნა
და მომიწონა გრძნობა და ალღო...
— დაგეღალაო? ვაჟკაცო ფრთები,
გიმკურნალებსო მშობელი მიწა.
თორემ ჰე, ძალზე ვწუხვარო ამას —
გაჟღენთილხარო უცხოურ სუნით...
იყავ ჩვენთანო, არ ჯობსო განა,
აგევსებაო სიწყნარით სული.
ვითომც აქაო და არაფერი,
საყვედურების ნიაღვრით მრეცხა...
მერე მშობლიურ ცას გამახედა
და შემადარა გულთეთრა მერცხალს.
და მერე დიდხანს აქნია თავი,
უცქირა თმებში ნაადრევ ზამთარს...
და მერე დიდხანს, ცრემლიან თვალით
მლოცა და... მერე დაიძრა ზანტად.
ვიყვირე: —
ბალღი ვიყავ და შევცდი,
შენ, ჩემი კუთხის ოქრო და ვერცხლო...
და დამავიწყდა: —
რომ არის ცეცხლი,
ტანზე რომ შენი ტალახი მეცხო.
მეცვალა ზნე და მეცვალა მხარი,
ბევრი ვიარე აღმა და დაღმა...
არ მომიშალო იმედი ხვალის,
შენი იმედით ავფრინდი მაღლა.
ვიყვირე: —
ჩემო ჭალავ და ველო,
დაბრუნებული პირვანდელს ვგავარ.
მხოლოდ და მხოლოდ სიყვარულს ველი,
შემარგეთ თქვენი ლამაზი ჰავა.
ჩემო ალვისხევ და ცაცხვო ჩემო,
არაფერში და არასდროს გაგცვლით...
გადმომაფინეთ ეგ თქვენი ჩერო
და დამასვენეთ ნამგზავრი კაცი.
გულში უამრავ სიმღერას ჩავტევ
ოღონდ გამაძღეთ იების სუნით...
რომ დროშასავით აწვდილი ჩანდეს,
ჩემი, დიდი და ჩახჩახა სული.

არ გავცვლი სალსა კლდეებსა...

(გაგრძელება)

ვეგება. იგი ინჟინერი წერეთელი აღმოჩნდა. „დგანი 400“-ის ავტომატიზაციის ერთ-ერთი ავტორი, ლენინური პრემიის ლაურეატი. წერეთელი საამქროში შეგვიძღვა.

...ქარხნის შემდეგ ქალაქს ვათვალიერებთ. სტუმარი კმაყოფილებას ვერ ფარავს მუშათა საცხოვრებელი კოტეჯებით, რომელთა წინ ბაღები და ხეივნები, ლამაზი ყვავილნარებია გაშენებული.

— მშვენიერია ეს სტადიონი! საუცხოოა კულტურის სასახლე! კარგია. ლამაზია! — წამდაუწუმ გაისმის თამაზის სიტყვები.

ქარხნის დირექტორი ოთარ სულაძე გვემშვიდობება. რუსთავის დათვალიერება კი გრძელდება. ამჯერად მეგზურობას მეტალურგიული ქარხნის კულტურის სახლის დირექტორი გვიწევს, ოდნავ ტანდაბალი, ვერცხლისწყლივით მოძრავი ახალგაზრდა.

კულტურისა და დასვენების პარკი.

ძნელბედობის ყამს, როცა რუსთავის მიწაზე ყოველივე ცოცხალი გადახმა, მხოლოდ აქ, მტკვრის სანაპიროზე შემორჩა მწვანე. მერე კი ისე აიყარა ტანი უპატრონოდ მიტოვებულმა ტყემ, რომ ადამიანს გავლა უჭირდა. ოციოდე წლის წინათ, აქ გარეულ ღორზე და შველზე სანადიროდ დადიოდნენ. როცა ქალაქის მშენებლობა დაიწყო, ნადირმა შორეულ ტყეებში გადაინაცვლა. ახლა ამ ლამაზ, ბუნებრივ ხეივნებში გზის ორივე მხარეს რუსთავის მოწინავე ადამიანების დიდი პორტრეტებია ჩამწკრივებული. საამოდ შრიალებენ ასწლოვანი ხეები. აქა-იქ საამებზე სხედან, ჩვენს მახლობლად ბიჭუნები ჩოგბურთს თამაშობენ, უფრო მოშორებით კი ხელოვნურ ტბაზე ნავები დასრიალებენ.

სამუშაო დღე დამთავრდა.

პარკის პატარა რესტორანში რუსთაველ მეგობრებს სუფრა გაეწყვიათ. გვეპატიჟებიან. თამადად კულტურის სახლის დირექტორს ვირჩევთ. პირველი ჭიქით ჩვენი გაცნობის სადღეგრძელოს ვსვამთ.

— მეორე ჭიქით საქართველოს სადღეგრძელო მინდა შემოგთავაზოთ, — ამბობს თამადა, მაგრამ თამაზი აწყვეტინებს:

—ნება მომეცით ეს სადღეგრძელო პირველმა მე შევსვა.

— სიამოვნებით. — უთმობს თამადა.

თამაზი ფეხზე დგება და გრძნობით აღელვებული ნ წყვეტ-ნაწყვეტ ამბობს:

— მე დაბადებიდანვე ქუდბედიერით დამყვა ერთი ბედნიერება: დედაცა და მამაც ქართველი მყავს... პირველი სიტყვა, რომელიც ვისწავლე, ალბათ ქართული „დედა“ იყო, პირველი მოზრდილი ლექსი კი ჩვენი სახელოვანი აკაკისა: „ცა-ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტო, ჩემო სამშობლო მხარეო“... მშობლების დახმარებით, შეძლებისდაგვარად შევისწავლე ყოველივე ქართული.

წლების განმავლობაში გადავიკითხე ყველა ქართული წიგნი, რაზეც კი ხელი მიმიწვდებოდა. საკმაოდ ნათელი წარმოდგენა მქონდა საქართველოს ისტორიაზე, კულტურაზე, ყოფა-ცხოვრებაზე, ბუნებაზე. მე საქართველო მესახებოდა ზღაპრულ მხარედ, სადაც იანვარში ვარდები ყვავიან. მხარედ, სადაც იცოდნენ მოყვრულად მოსულისადმი იშვიათი სტუმართმოყვარეობით დახვედრა და სადაც ერთი ათ მომხდურთან მუდამ გამარჯვებული გამოდიოდა: მე საქართველო მეხატებოდა ლამაზი ტაძრებისა და სასახლეების, იშვიათი ციხე-სიმაგრეების ქვეყნად, სადაც მომხიბლავი ქალიშვილები მტრედებივით დაგოგმანებენ და შავგვრემანი, შავულვაშა ვაჟკაცები ორპირ ხანჯლებსა და გრძელ ხმლებს ატარებენ...

ვკითხულობდი, ვსწავლობდი... მეგონა ყოველივეს ჩავწვდი, ყველაფერი გავიგე... მაგრამ აი, ახლა ჩემი დიდი ხნის ოცნება და საქართველოს ვეწვიე. სინამდვილემ მოლოდინს გადააჭარბა. ყოველივე კარგი, რაც წიგნში ამოვიკითხე, რაზეც მშობლები ყოველდღიურად მელაპარაკებოდნენ, დიდი სიფაქიზითა და სიყვარულით დაცული დამხვდა. ამან დიდად გამახარა. მაგრამ უფრო დიდად გამახარა იმან, რომ დღეს ქართველ ახალგაზრდობას საბრძოლო იარაღის ნაცვლად ხელში წიგნი და მანქანის საჭე უპყრია და მოწინავე მეცნიერებას ეუფლება, ახალ სასახლეებს, გზებსა და ხიდებს, ახალ ქალაქებს აშენებს. ამის მაგალითად მარტო ეს რუსთავიცა კმარა... ვუსურვებ საქართველოს და ქართველ ხალხს დიდი ხნის მშვიდობას, კიდევ უფრო აყვავებას.

(დასასრული მე-6 გვ.)



წარსულის ფურცელი

საქართველოს კინოფოტოფონოსაბუთების ცენტრალურ სახელმწიფო არქივში აღმოჩნდა ეს ფოტოსურათი, რომელზეც ჭადრაკის თამაშის მომენტია აღბეჭდილი. სურათი გადაღებულია 1877 წელს რუსეთ-თურქეთის ომის დროს ოზურგეთში (მახარაძეში), „რიონის რაზმის“ ლაზარეთში.

ვინ არის ეს მოასპარეზე ქალი ვაჟკაცს რომ შერკინებია? როგორც გამოირკვა, იგი გახლავრ ელისაბედ ყაზბეგი (ცნობილი ქართველი მწერლის ალექსანდრე ყაზბეგის ბიძაშვილი), რომელიც ქართველთა ლაშქრობაში მოწყალების და ყოფილა. მისივე მოგონებებიდან ირკვევა, რომ არისტოკრატიულ ოჯახში აღზრდილი ელ. ყაზბეგი ფრიად განათლებული ქალი ყოფილა. ჭადრაკის თამაში მისთვის ძმას — დიმიტრის უსწავლებია და ახლობლებში კარგი მოჭადრაკის სახელიც მოუხვეჭია. ამ სურათზე ელ. ყაზბეგი ეთამაშება ერთ-ერთ დაჭრილ ოფიცერს.

გალაკტიონ ტაბიძე

შოთა რუსთაველი შავი ზღვის პირად

ნაპირს, რასაც საოცარი სილაჟვარდით ავსებს წყალი,
სადაც დაფნის ტყეებია და მზიური ფორთოხალი,
ნაპირს, რის მსგავსს ზღვათ მავალი ვერსად ნახავს კაცის თვალი,
გადმოვიდა მოყმე ვინმე, ამაყი და სახემკრთალი.

პირველ მუხლი მოიყარა, მოწიწებით გადგა შორა,
თაყვანი სცა მშობელ მიწას, რამდენჯერმე ეამბორა,
კვლავ დაეძო, კვლავ ცრემლები სისხლის რუებრ მოატბორა,
მეღირსაო შენი ნახვა, აწც ვინ დაგვაშორიშორა?

ამბობს: ჩემო სამშობლოო, ღვიძლო დედავ, ჩემო კარგო,
დაგიბრუნდი შენი შვილი, ვეჭვ, რაიმე დიდი გარგო,
გარნა ერთი სიცოცხლე მაქვს, მინდა შენთვის გარდავაგო,
სიბრძნეს — ვეყმო, მოძმეს — ვეძმო, საკადრისი მტერს მივაგო.

მე შენ შემჭერ სხვა ცხოვრების, სხვა გარემოთ უცნობ ზვავში,
როსმე წყნარი და უღრუბლო, ზამბახივით ნაზი ბავშვი...
ვნახე უცხო მხარეები, გადავეშვი სიბრძნეთ ზღვაში,
ხან სიცხეში, ხან ავდარში, ხან გრიგალში, ხან ნიავში.

მერამდენედ უნდა გითხრა, მშობლიურო, კვლავ მადლობა
ცისკრისათვის, რასაც დილის ჰქვია მიმოსინათლობა;
იარისთვის, ჩემს დასისხლულ ფეხს რომ აჩნის, ვითარ გზობა,
ყველაფრისთვის, რაც არა მაქვს და ანუ მაქვს: გრძნობა, ცნობა.

აი, დიდი, დაბურული და ზვიადი ჩანს ტყეები.
ზევით, ქვევით ცის ლაჟვარდი, გადაშლილი სივრცეები.
ცადაწვდილი დგას ხეები, კვლავ კლდეები, სახეები,
ახლო მესმის: ჩონგურები აშრიალდნენ, ვით დღეები.

რაღაც უცხო სიმსუბუქით მივყავარ სიმთ ოქროს ნავებს,
ნაყოფიერ მინდორთ ნუგეშს, მზეთა ნუგეშს, ოქროს ხვავებს.
გმადლობ ზღვისთვის, არემარევ! ამგვარად რომ ააყვავებს
აღმომხდარ მზით, ჩამავალ მზით იმ მთვარესა და ვარსკვლავებს.

მე რუსთველი ამა ზღვიდან შემოვდივარ ჩემს ქვეყანას,
მოიარო სხვა ქვეყანა, ვერ მოისმენ ამგვარ ნანას.
ხამს შესწირო კაცმა თავი მხარეს — ედემს ამისთანას...
მის ვეფხვობას, მის სიუხვეს, სიყვარულს და ოქროს ხანას!

არ გავცვლი სალსა კლდეებსა...

(დასასრული).

— ამ სადღეგრძელოს სიმღერაც მოუხდება, — თქვა ბოლოს თამაზმა და თვითონვე დაიწყო:

„არ გავცვლი სალსა კლდეებსა
უკვდავებისა ხეზედა...“

ჩვენც ავყევით, მეზობელი სუფრიდან ბანი შემოგვაწიეს:

„არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს
სხვა ქვეყნის სამოთხეზედა..“

— სასიამოვნოა, თქვა შემდეგ თამადამ, — რომ ჩვენს უცხოელ თანამემამულეს დღეს ასე პირდაპირ ვხვდებით და გულწრფელად ვუზიარებთ ყოველივეს, რითაც ვსულდგმულობთ, რითაც თავი მოგვწონს. თამაზი ჩვენთვის პირველი მერცხალი არ არის, მით უმეტეს არც უკანასკნელი იქნება იგი. იმედი გვაქვს, რაც დრო გავა, მით უფრო მეტ თანამემამულეს ვიხილავთ ჩვენში.

თამაზი ფეხზე წამოდგა და თქვა:

— წელან მოგახსენეთ, რომ საქართველოში ჩამოსვლა ჩემი დიდი ხნის ოცნება იყო, მაგრამ ჩემს ოცნებაში მე არასოდეს მარტო არ ვყოფილვარ. საქართველო ჩემზე არა ნაკლებ უყვართ უცხოეთში მყოფ ჩემს თანატოლ თანამემამულეებს. შემიძლია დარწმუნებით ვთქვა, რომ ყოველი მათგანის გულში საქართველოსადმი სიყვარული მარადიული ცეცხლივით გიზგიზებს...

ქართულმა კულტურამ, თვითმყოფადმა, ორგანულმა ხელოვნებამ ყველა გაგვიტაცა. ჩვენთან, პარიზში ქართული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლიც კი იყო ერთხანს ჩამოყალიბებული. ბიჭები თავიდან დიდი ხალისით დადიოდნენ მეცადინეობაზე. თვითეული ილუთის, ახალი სიმღერის შესწავლა დიდ ბედნიერება იყო ყველა ჩვენთაგანისათვის. მაგრამ ზოგიერთ ახალგაზრდას ქართული კულტურა სხვანაირად ესმოდა და საქართველოსთან დამოკიდებულებაც — სულ სხვანაირად.

— მე მწამს ნამდვილი სიყვარული. მწამს თქვენს მიერ ნათქვამი სიტყვები. სწორედ ამ სიტყვებისათვის, თქვენს მიერ შესმული სადღეგრძელოსათვის, ჩვენდამი გამოჩენილი უანგარო სიყვარულისათვის მინდა მოგახსენოთ ჩემი დიდი მადლობა ყველა უცხოელი თანამემამულის სახელით.

...რამდენიმე დღის შემდეგ თამაზი საფრანგეთში გავაცილეთ. აეროდრომზე მან ოთხად გაკეცილი ქაღალდი გადმომცა და მითხრა:


— გთხოვთ, თქვენი საზოგადოების წევრებს გააცნოთ. პირადად ვერ მოვახერხე ზოგიერთის ნახვა და...


აი პატარა ამონაწერი თამაზის წერილიდან:

„საქართველოში ყოფნისას ყველგან ვგრძნობდი დიდ სითბოსა და სიყვარულს. მინდა ყველა მათ, ვინც კი უფრო შემაყვარა ჩემი სამშობლო, გადავუხადო მთელი ჩემი სიყვარულით გულთბილი მადლობა. ქართულ კომიტეტს ვუძღვნი დიდ მადლობას, რომ მანახა და შემაყვარა ჩემი სამშობლო“.

გ. კავთიაშვილი.

სურათზე: თამაზ ნასყიდაშვილის წერილის (მეორე გვერდის) ავტოგრაფი.





ქიმიური გიგანტი

რუსთავში აშენდა სინთეზური ბოჭკოს ქარხანა

რუსთავში — ქართული ფოლადის ქალაქში, მწყობრში ჩადგა სინთეზური ბოჭკოს ქარხნის პირველი რიგი. ეს რუსთავის ქიმიკოსთა და მძენებელ-მემონტაჟეთა ახალი დიდი გამარჯვებაა.

ოთხი-ხუთი წლის წინათ, იქ, სადაც ახლა ქიმიური გიგანტია აშენებული, სრულიად ცარიელი ადგილი იყო. მაგრამ მოვიდნენ მრომისმოყვარე ადამიანები, თან მოიტანეს თანამედროვე სამაშულო ტექნიკა და შეუტიეს საუკუნეებით ხელუხლებელ ველებს.

ქარხნის მშენებლობისათვის გამოიყო 40 ჰექტარი ფართობი. მშენებლობა ჩქარი ტემპით დაიწყო — აგურს აგური ემატებოდა, სართულებს სართულები და მოკლე დროში აშენდა უამრავი კორპუსი, დამოტაჟდა თანამედროვე დანადგარ-მოწყობილობანი, ავტომატიკისა და ელექტრონობის ხელსაწყოები, მიწის ქვემ და მიწის ზევით იმდენი მილი განალაგეს, ისინი ერთ ხაზად რომ დააწყოთ რუსთავიდან მოსკოვამდე მანძილს დაფარავენ.

ახალი ქარხნის პირველი რიგი უკვე მუშაობს. სულ მალე მიღებული იქნება ისეთი იშვიათი ქიმიური პროდუქცია, როგორიც არის კორდი. შემდეგ კი გადაწყდება ხელოვნური აბრეშუმის ძაფის წარმოების პრობლემა.

კორდისაგან მზადდება ავტომანქანების საბურავები, ხოლო აბრეშუმის ძაფისაგან — თანამედროვე ფართო მოხმარების საგნები, ქსოვილები.

სპეციალისტების მიერ დადგენილია, რომ საბურავები, რომლებშიც კორდის ქსოვილია გამოყენებული, 5-6-ჯერ უფრო გამძლეა, ვიდრე ბამბის ქსოვილისაგან დამზადებული საბურავები, ამასთანავე მათი ზიდვისუნარიანობა და საიმედობა იზრდება 50-60 პროცენტით. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ხელოვნური აბრეშუმის ძაფისაგან დამზადებული ქსოვილი გაცილებით ლამაზი და იაფია, ვიდრე ბუნებრივი აბრეშუმის ძაფისაგან მოქსოვილი.

• • •

სურათზე: რუსთავის სინთეზური ბოჭკოს ქარხნის მთავარი კორპუსის ხედი.

სამი ინტერვიუ

სცენა „ქართულ ფილმში“

— რაზე მუშაობთ ამჟამად? — ასეთი ტრადიციული კითხვით მივედი სტუდია „ქართულ ფილმში“. კითხვაზე მიპასუხეს ახალგაზრდა რეჟისორებმა ლანა ღოღობერიძემ, ყარამან მგელაძემ და რევაზ ჩხეიძემ.

ლანა ღოღობერიძეს მაყურებელი იცნობს როგორც სამი კინონოველის დამდგმელ რეჟისორს. ეს კინონოველები გაერთიანებული იყო ერთი სახელწოდებით „ერთის ქვეშ“.

ფილმი „მე ვხედავ მზეს“, რომელზეც ახლა ვმუშაობ, — ნოდარ დუმბაძის რომანის ეკრანიზაციაა, მიმდინარე წლის მარტში იმედი გვაქვს, რომ ფილმი გამოვა ეკრანებზე. უნდა ვაღიარო, რომ ცოტა არ იყოს ვღელავ. ამ სიცოცხლის დამამკვიდრებელი რომანის გმირები შეუყვარდა ათასობით მკითხველს. წიგნის გმირების ხელახლად წარმოსახვა ეკრანზე ძნელი და მეტად პასუხსაგები ამოცანაა, ყოველი, გამოცდილი რეჟისორისთვისაც კი.

ამით დამთავრდა ჩვენი საუბარი. პავილიონში ინთება იუპიტერები იწყება კოლმეურნეთა საერთო კრების სცენის გადაღება.

ყარამან მგელაძე იმ დღეს თავისუფალი იყო გადაღებისაგან, მაგრამ საქმეებმა, რომლებიც დაკავშირებულია კოძედიასთან „თქვენ ნიფათი გელით“ მოიყვანა იგი სტუდიაში.

— ფილმის სიუჟეტი საკმაოდ საინტერესოა, — აძბობს რეჟისორი, —გოგონა — მის როლს ასრულებს თხუთმეტი წლის თბილისელი მოსწავლე დალი რატიანი— ეძებს ადამიანებს, რომლებსაც, როგორც იგი დარწმუნებულია, ხიფათი ელით. იმას, თუ რით მთავრდება მისი ძებნა და, თუ როგორ ცდება იგი, მაყურებელი ნახავს ეკრანზე მიმდინარე წლის აპრილში.

ყარამან მგელაძე ახალბედა როდია კინოში. მაყურებელს, ალბათ, ახსოვს იგი „ახალგაზრდა გვარდიაში“ ჟორა არუთინიანცის როლში. უნდა ითქვას, სხვათა შორის, რომ იგი როგორც რეჟისორი უკვე ცნობილია საზღვარგარეთაც. მისი მოკლემეტრაჟიანი ფილმი „ბურთი და მოედანი“ წარმატებით უჩვენეს ამერიკის ტელევიზიით.

— რა გეგმები მაქვს? მინდა გადავიღო სამი ნოველა. კინოსურათი „სერიოზული“ იქნება. — ამბობს ახალგაზრდა რეჟისორი.

სტუდიის ეზოში, იქ სადაც ჩვეულებრივ გამოკრულია გახცადებები, ყურადღებას იპყრობს მოსკოვიდან მიღებული დეპეშა: „ელვა. თბილისი. „ქართული ფილმი“. „ჯარისკაცის მამას“ მაღალი შეფასება მისცეს საკავშირო ეკრანზე. გთხოვთ მიულოცოთ სტუდიის მთელ კოლექტივს, კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტისა და მთავარი სამმართველოს სახელით...“

ამ ფილმის დამდგმელი რეჟისორი რევაზ ჩხეიძე ამბობს:

— უკვე ბევრი დაიწერა ფილმზე „ჯარისკაცის მამა“. იგი გადის ეკრანებზე და მაყურებელს თითონ შეუძლია იმსჯელოს მის ღირსებებსა და ნაკლოვანებებზე.

რ. ჩხეიძემ ილაპარაკა თავის შემოქმედებითს გეგმებზე და ხაზგასმით აღნიშნა, რომ სურს განახორციელოს თავისი დიდი ხნის ოცნება: დადგას ფილმი ქართველ პარტიზანებზე, რომლებიც მონაწილეობდნენ იტალიის წინააღმდეგობის მოძრაობაში და გარიბალდის სახელობის ბრიგადაში, ან ქართულ ბატალიონზე, რომელიც აჯანყდა ჰოლანდიის კუნძულ ტექსელზე. გამორიცხული არ არის რომ ფილმზე მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ იტალიელი ან ჰოლანდიელი კინემატოგრაფისტები.

საქართველოს ფლორა


მრავალფეროვანია საქართველოს მცენარეთა სამყარო. 4.200-ზე მეტი სახეობის ველური მცენარე გვხვდება რესპუბლიკის შედარებით მცირე ტერიტორიაზე. ფლორის ასეთი სიუხვე ჩვენს ქვეყანაში დამახასიათებელია მხოლოდ საქართველოსათვის.

ბუნებრივი მცენარეული რესურსებით სარგებლობისათვის საჭიროა გვქონდეს სპეციალური სახელმძღვანელო — მცენარეთა სარკვევი. ასეთი ნაშრომის პირველი ტომი გამოუშვა გამომცემლობა „მეცნიერებამ“. იგი შედგენილია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელთა ჯგუფის მიერ. რედაქტორია აკადემიკოსი ნიკო კეცხოველი.

ჩვენს მკითხველებს

ალბათ თქვენც შეამჩნევდით უმნიშვნელო უზუსტობას გაზეთ „სამშობლოს ხმის“ გასული წლის დეკემბრის ნომრის მე-3 გვერდზე დაბეჭდილი სურათების წარწერებში. შუა სურათზე აღბეჭდილია შალვა ბადურაშვილი თავისი ოჯახით და არა ალექსანდრე ბადურაშვილი, როგორც ეს მითითებულია.

18.7/24



სჯობს სახელისა მოხვეჭა
ყოველსა მოსახვეჭელსა!

●

ვინც მოყვარესა არ ეძებს,
იგი თავისა მტერია.

●

გორგოტსა სძლია კეთილმან,
არსება მისი გრძელია.

●

სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა
სიკვდილი სახელოვანი!

●

ხამს მოყვარე მოყვრისათვის
თავი ჰირსა არ დაზრიდად, —
გული მისცეს გულისათვის,
სიყვარული გზად და ხიდად.

შოთა რუსთაველი.

სურათზე: შოთა რუსთაველის ძეგლი თბილისში (ავტორი კ. მერაბიშვილი).

თქვენ დაგეძებენ, მეგობრებო!

ყანჩაველს სერგო შალვას-ძეს, დაბადებულს 1924 წელს ქ. ზესტაფონში, ეძებენ დედა — მანია კლიმენტის ასული ყანჩაველი; ძმები — ლადო, დიმიტრი, ჯემალი; დები — ლენა, კატუშა ყანჩაველები, მცხოვრებნი ქ. ზესტაფონში, მოსკოვის ქ. № 1.

ოლგესაშვილს ანა (ანიჩკა) სიმონის ასულს, დაბადებულს 1891 წელს დუშეთის რაიონის სოფელ სარძიელში, ეძებს და — ოლგესაშვილი-ასაშვილი ანა სიმონის ასული, მცხოვრები თბილისში, ჩოდრიშვილის ქ. № 20.


ედიბერიძეს თომა ბესარიონის-ძეს, დაბადებულს 1916 წელს, ზესტაფონის რაიონის სოფელ მეორე სვირში, ეძებს და — ედიბერიძე ლუბა ბესარიონის ასული, მცხოვრები ზესტაფოხის რაიონის სოფელ მეორე სვირში.

ღვინიანიძეს გიორგი (ჟორა) ილიას-ძეს, დაბადებულს 1922 წელს თბილისში, ეძებს მამა — ღვინიანიძე ილია გერასიმეს-ძე, მცხოვრები თბილისში, იმერეთის ქ. № 43.

კილასონიას ტრიფონ ალექსის-ძეს, დაბადებულს 1916 წელს ხობის რაიონის სოფელ საჯიჯაოში, ეძებს ძმა — კილასონია დავით ალექსის-ძე, მცხოვრები ოჩამჩირეში, ლენინის ქ. №33.

კვირკველიას ბარნაბ (კვაჭი) ანტონის ძეს, დაბადებულს 1918 წელს აბაშის რაიონის სოფელ მაიდანში, ეძებენ დედა — ეფუსი; დები — პელაგია, ზინა და მარო; ძმები დიმიტრი, გრიშა და კიკოლა კვირკველიები, მცხოვრებნი აბაშის რაიონი, სოფ. სოფ. მაიდანში.

სურათზე: სერგო ყანჩაველი.



სპორტული მიმოხილვა

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში უკვე ვიუწყებოდით, რომ მსოფლიოს ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი ინგლისს უნდა გამგზავრებულიყო ჰასტინგსის მთავარ ტურნირში მონაწილეობის მისაღებად. ტურნირი უკვე დამთავრდა (გაიმარჯვა პ. კერესმა), ნონა კი თბილისში დაბრუნდა.

ლეგენდარული ვერა მენჩიკის შემდეგ ქართველი ნოჭადრაკე პირველი ქალია, რომელიც ჰასტინგსის ვაჟთა მთავარ ტურნირში გამოვიდა. მენჩიკის საუკეთესო შედეგი ამ ტურნირში V—VIII ადგილების გაყოფა იყო, თუმცა იგი მრავალჯერ თამაშობდა ჰასტინგსში. ნონას დებიუტი ბრწყინვალე აღმოჩნდა. მან მეხუთე ადგილი დაიკავა ათ მოჭადრაკეს შორის. დაგროვა ხუთი ქულა. მოიგო ოთხი პარტია, ორი ფრედ დაამთავრა და სამი წააგო.

ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში მსოფლიოს ჩემპიონმა განაცხადა:

— მე კმაყოფილიც ვარ შედეგით და უკმაყოფილოც: უკმაყოფილო იმიტომ, რომ სტარტზე ხელიდან გავუშვი ერთი ნაღდი მოგება ბრაზილიელ როშასთან, ხოლო გროსმაისტერ გლიგორიჩთან თანაბარ პოზიციაში უხეში შეცდომა დავუშვი. ფინიშზე გაცილებით უკეთ ვითამაშე და 6 პარტიაში 4,5 ქულა მოვაგროვე. პარტიებიდან ყველაზე უფრო საინტერესო იყო ჩემი ორთაბრძოლა პ. კერესთან. გამოჩენილი გროსმაისტერი იძულებული იყო ყაიმზე შემთანხმებოდა.

ტურნირის შემდეგ ქართველმა მოჭადრაკემ რამდენიმე ერთდროული სეანსი გამართა ინგლისელ ვაჟ მოჭადრაკეებთან ლონდონში, კემბრიჯსა და დორსეტში. ქართველი ქალიშვილი წარმატებით ეთამაშა ინგლისელ მამაკაცებს. 74 პარტიიდან ნონამ 40 მოიგო, 21 ფრედ დაამთავრა და 13 წააგო.

მსოფლიოს ჩემპიონი უკვე შეუდგა მზადებას საერთაშორისო ოსტატ ა. კუშნირთან მატჩისათვის მსოფლიოს პირველობაზე.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა ხელბურთში, თბილისის „ბურევესტნიკის“ ხელბურთელებმა უკვე დაამთავრეს წვრთნა და იუგოსლავიისაკენ აიღეს გეზი, სადაც 7 თებერვალს ბელგრადში ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების მეოთხედფინალში შეხვდებიან იუგოსლავიის „მედვეშჩაკს“. ამ გუნდების განმეორებითი მატჩი გაიმართება თბილისში 13 თებერვალს.

თბილისის „დინამოს“ კალათბურთელებმა მეორე ადგილი დაიკავეს ვარშავის განთავისუფლების 20 წლისთავისადმი მიძღვნილ საერთაშორისო ტურნირში. პირველი ადგილი მოიპოვა ვარშავის „ლეგიამ“, მესამე — პრაღის ნაკრებმა.

ბაკურიანში ორკვირიანი მსუბუქი წვრთნის შემდეგ, თბილისში დაბრუნდნენ და დიღმის ბაზის მწვანე მინდორზე დაიწყეს ვარჯიში ქართველმა ფეხბურთელებმა, სსრ კავშირის 1964 წლის ჩემპიონმა — „დინამომ“.

გუნდში არსებითი ცვლილებანი არ მომხდარა. საქართველოს სხვადასხვა კოლექტივებიდან „დინამოში“ მოვიდნენ პერსპექტიული ახალგაზრდები. წვრთნა ინტენსიურად მიმდინარეობს. მოგველის ძნელი ტურნირი, რადგან ახალი დებულების თანახმად გუნდი, რომლის მოთამაშეები ნაკრებში თამაშობენ, არ თავისუფლდება კალენდარული მატჩებისაგან. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საბჭოთა ნაკრებში სულ ცოტა 4 თბილისელი იქნება მიწვეული, ცხადი გახდება, თუ რა ძნელი ამოცანის წინაშე დგანან დინამოელები.

სპორტის სხვა სახეობებში ზამთრით გამოწვეული ერთგვარი სიმყუდროვე სუფევს. თუმცა არც ისე შორს არის გაზაფხული, რომლის შესახვედრად ემზადებიან მოჭიდავეები და ფრენბურთელები, მსროლელები და ცხენოსნები, მძლეოსნები და მცურავები.

ო. ლორთქიფანიძე.

მოისმინეთ რადიოგადაცემები ქართულ ენაზე ყოველი თვის მეორე და მეოთხე კვირას 7 საათიდან 7 საათსა და 30 წუთამდე. შუა ევროპის დროით საშუალო ტალღაზე 227 მეტრი ან 1322 კილოგერცი. მოკლე ტალღაზე — 30,83 მეტრი ან 9730 კილოგერცი.

გადაცემები ქართულ და აფხაზურ ენებზე შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის ყოველ კვირა დღეს 17 საათსა და 45 წუთიდან 18 საათსა და 15 წუთამდე, თბილისის დროით მოკლე ტალღაზე— 50,59 მეტრი ან 5930 კილოგერცი.

სარედაქციო კოლეგია

ჩვენი მისამართი

თბილისი, გ. ათონელის ქ. № 25.